სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დარგობრივი კომისიის

შეფასების შედეგები

**სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი**

დამტკიცებულია დარგობრივი კომისიის სხდომაზე ოქმი #4. 24 მაისი, 2024 წ.

| სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმები (კომპონენტები) | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება, რეკომენდაციები | |
|---|---|---|
| **პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები** | | |
| | ანალიზი | |
| | შეფასება | დადებითი/უარყოფითი |
| | რეკომენდაციები | |
| **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები** | | |
| | ანალიზი | |
| | შეფასება | დადებითი/უარყოფითი |
| | რეკომენდაციები | |
| **უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები** | | |
| | ანალიზი | |
| | შეფასება | დადებითი/უარყოფითი |
| | რეკომენდაციები | |
| **პატენტები** | | |
| | ანალიზი | |
| | შეფასება | დადებითი/უარყოფითი |
| | რეკომენდაციები | |
| **ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა საქართველოში** (მონოგრაფიები, წიგნები, სახელმძღვანელოები, კრებულები, სამეცნიერო სტატიები) | | |
| **შოთა ვადაჭკორია**<br>მონოგრაფია: „ოსების გენოციდის“ მითი და 1918- 2022 წლების ისტორიული სინამდვილის პარადიგმები. თბილისი. 2023 წ. გამომცემლობა „გეორგიკა“. ASBN 978-9941-8-51551-3; A-5 ფორმატი. 356 გვერდი | საქართველოს ცენტრალური არქივის შესაბამისი ფონდების დამუშავებით მოპოვებული დოკუმენტების და პრესაში გამოქვეყნებული მასალების გათვალისწინების საფუძველზე, ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველად, დასაბუთებული პასუხია გაცემული ნაშრომის სათაურთან მიმართებაში. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **თეონა შარიქაძე**<br>ინკლუზიური განათლების ორმხრივი სარგებლიანობის პრინციპი.<br>SBN 978-9941-9826-0-6.<br>თბილისი. ჩემი გამომცემლობა. 108. | ინკლუზიური განათლების ორმხრივი სარგებლიანობის პრინციპი: ინკლუზიური განათლება არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ინკლუზიური სწავლება ეს არის სპეციალური საგანმანათლებლო | |

| | | |
|---|---|---|
| | საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. მონოგრაფიული ნაშრომის მიზანია, საზოგადოებას აჩვენოს ინკლუზიური სწავლების პოზიტიური ეფექტი მასში ჩართულ მოსწავლეებზე. ნაშრომში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ტიპური განვითარების მქონე მოზარდებზე, რომელთაც აქვთ განათლების ამგვარი მოდელის გამოცდილება. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **ი. კუტუბიძე, ვ. გურგენიძე, ა. სიჭინავა**<br>ინოვაციების კვლევის მეცნიერული მეთოდები, ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი-2023 წ.#3-4. http://scholar.bpengi.com,<br>DOI: https:doi.org/10.36073/1512- 0538. 6 გვ | ნაშრომი ეძღვნება პოლიტიკისა და სოციუმის მეცნიერული კვლევის ინოვაციური საკითხებს. სტატიის შინაარსი აქტუალურია, რამდენადაც გარკვეულად ორიენტირებულია თანამედროვე გამოცდილების სისტემატიზაციაზე. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ინოვაციის უტილიტარულ დანიშნულებაზე, ასახულია მეთოდოლოგიის სხვადასხვა მკვლევარების ხედვა ინოვაციის ფუნქციებსა და სტრუქტურის შესახებ, მოცემულია ავტორების მიდგომა აღნიშნული ფენომენისადმი. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **კ. კუტუბიძე, მ. გელაშვილი**<br>,,ადამიანის გაუცხოების პრობლემა ტექნიკური ცივილიზაციის პირობებში. ჟურნალი ,,ბიზნეს-ინჟინერინგი“, #1-2 , 2023. თბილისი. | სტატიაში სოციალური პრობლემატიკის ჭრილში გაანალიზებულია სამეცმიერო-ტექნიკური პროგრესის მრავალწახნაგიანობა, ცივილიზაციის ევოლუციის პროცესი და გლობალიზაციის პირობებში მათი პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **ი. კუტუბიძე, თ. მერაბიშვილი**<br>,, კონტროლის ლოკუსის კვლევა ტიპოლოგიის ჭრილში.“ სამეცნიერო ჟურნალი ,,განათლება“; 2023, #1(40), გვ. 68-73 ISSN 2346-8300 | ვფიქრობთ, რომ ექსტერნალობა-ინტერნალობის დონე ნევროტიზმსტაბილობასთან არის კავშირში და ამიტომ ჩვენი ვარაუდით, ტიპოლოგიის მხრივ კონტროლის ლოკუსის ორიენტაციების თვალსაზრისით დიდი განსხვავება არ იქნება. ჩვენი კვლევის შედეგები ამართლებს აღნიშნულ ჰიპოთეზას. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **ი. კუტუბიძე, ნ. აბულაძე**<br>თამაშდამოკიდებულების ზიანის შემცირების გზები თვითკონტროლის და სოციალური კონტროლის თეორიული პერსპექტივიდან. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი ,,განათლება“; 2023, #1(40), გვ. 59-62 | სტატიაში განხილულია აზარტულ თამაშობებზე დამოკიდებულების პრობლემა, მისი კლასიფიკაცია, ისტორია და რისკ-ფაქტორების შემცირების გზები სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული კვლევის პერსპექტივიდან. პრობლემის მართვა და ზიანის შემცირება იწყება პირველადი პრევენციით, მისი გადაჭრის უმთავრესი წინაპირობა კი სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაყრდნობით მსჯელობაა. აზარტულ თამაშობებზე დამოკიდებულების<br>მოსალოდნელი ზიანის შემცირება თვითკონტროლის და სოციალური კონტროლის თეორიის მიხედვით შესაძლოა აიხსნას. თვითკონტროლი, უმთავრესად პიროვნული მახასიათებელია, რომელიც ცხოვრებისეული გამოწვევების მიმართ მოწყვლადობას განსაზღვრავს, ხოლო სოციალური<br>კონტროლის თეორიას რაც შეეხება ანტისოციალური ქცევის, | |

| | | |
|---|---|---|
| | დამოკიდებულების განვითარების წინაპირობად არა ინდივიდუალურ ფაქტორებს, არამედ სოციალურ გარემოცვას მიიჩნევს. სოციალური კონტროლი<br>სწორედ შინაგანი და გარეგანი მექანიზმების კომბინაციას წარმოადგენს. სტატიაში ასევე მიმოხილულია თამაშდამოკიდებულების განვითარების რისკ-ფაქტორები, პრობლემის მართვის საშუალებები ამ თეორიული მოდელებიდან გამომდინარე. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **ი.კუტუბიძე, თ. ჭიჭინაძე**<br>ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტის მოტივაციური ფაქტორები. ჟურნალი ,,განათლება“, #4 (39) 2022წ. გვ: 115-118 | ნარკოდამოკიდებულება ქრონიკული დაავადებაა და სხვა ქრონიკული დაავადებების მსგავსად, გამწვავებისა და რემისიის პერიოდებით ხასიათდება. ალკოჰოლზე და ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ადამიანთა მკურნალობის პროცესში მოტივაცია დიდი ხანია მიიჩნევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტის მოტივაციის ჩამოყალიბება მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. სტატიაში განხილულია სოციალური, ფსიქოლოგიური, თერაპიული და ბიოლოგიური მოტივაციური ფაქტორები, რომლებიც ეხმარება დამოკიდებულ ადამიანს ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებაში. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **თ.ზუბიაშვილი, ა. სილაგაძე, ი. კუტუბიძე**<br>მიგრაციის გავლენა საქართველოს დემოგრაფიულ-ეკონომიკურ განვითარებაზე გლობალიზაციის პერიოდში. ჟურნალი ,,საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე.“ ტ.17, #3,<br>2023 წ. გვ: -149 | წინამდებარე ნაშრომში მოცემულია საერთო დემოგრაფიული და მიგრაციული განვითარების ფონზე გამოკვლეული შრომითი ემიგრაციის გავლენა საქართველოს დემოგრაფიულ და ეკონომიკურ განვითარებაზე. გათვალისწინებულ იქნა შრომითი ემიგრაციის გზავნილების როლი დემოგრაფიული ზრდისთვის აუცილებელი რესურსების მატებაში, დემოგრაფიული კრიზისის შერბილებაში. განხილულია, უცხოეთში შრომით ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების დემოგრაფიული ქცევის ცვლილებები, რომელსაც ღრმა, საფუძვლიანი შესწავლა სჭირდება. სხვადასხვა კვლევის გათვალისწინებით დადგინდა, დემოგრაფიული ქცევის მიახლოებითი მოდელი შრომითი ემიგრაციის შესახებ. აქედან გამომდინარე, შეფასდა დემოგრაფიული დანაკარგები. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **ირინა ცერცვაძე, თეონა შარიქაძე**<br>პიარი და ურთიერთობის ფსიქოლოგია.<br>ISBN 978-9941-9874-2-7;<br>თბილისი; მერანი; 196. | ნაშრომში განხილულია კომუნიკაციური პროცესების სტრუქტურა, მახასიათებლები, ფუნქციები. ეფექტური კომუნიკაციის განმსაზღვრელი ფაქტორები. ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის თავისებურებანი. პიროვნების თვისებები, რომელიც გავლენას ახდენს კომუნიკაციის ეფექტურობაზე. ასევე განხილულია საჯარო გამოსვლის ხელოვნება. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |

| | | |
|---|---|---|
| **შოთა ვადაჭკორია**<br>საქართველო-რუსეთის 1991 წლის 23 მარტის ყაზბეგის შეთანხმების შეფასებისათვის. ჟურნ. ბიზნეს-ინჟინერინგი. თბილისი. 2023 წ. # 3-4. გვ. 344-345; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ISSN 1512-0538 | ნაშრომში მოტანილი მასალების ანალიზი, შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: 1)1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით საქართველოს ხელისუფლებაში მოსულ ეროვნულ ძალებს, აღმავალი ოსური სეპარატიზმის სახით, უმძიმესი მემკვიდრეობა დახვდა. Mსეპარატისტების მიზანს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საფრთხის ქვეშ დაყენება და რუსეთის შესაბამისი უწყების მიერ შემუშავებული გეგმის განხორციელების პრევენცია წარმოადგენდა; 2)ყაზბეგში 1991 წლის 23 მარტს ელცინ-გამსახურდიას შორის მიღწეულ შეთანხმებაში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის ფორმულირებით დაფიქსირებამ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის კანონისადმი ბ.ელცინის მხარდაჭერა დაადასტურა. ცხინვალის რეგიონში საქართველოს ხელისუფლების სასარგებლოდ გასატარებელი ღონისძიებებისადმი ბ.ელცინის მხარდაჭერა, ზ.გამსახურდიას მთავრობის პოლიტიკური კურსის გარკვეული ფორმით შეცვლის მოლოდინზე იყო გათვლილი. საწინააღმდეგო ქმედება, ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის დაკარგვის რეალურ საფრთხეს ქმნიდა; 3)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და რეგიონის ქართული მოსახლეობის მამა-პაპეულ საცხოვრისზე დამაგრება, საქართველოს მმართველი ელიტის მხრიდან, ამბიციების უკანა პლანზე გადატანას და ლავირებაზე დაფუძნებულ დიპლომატიურ მოქნილობას მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყაზბეგის შეთანხმების არშესრულება გარდუვალი იყო. ამ რეალობის მიუხედავად, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, რადიკალიზმის გზა აირჩია, რაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უსაფრთხოებისთვის წამგებიანი აღმოჩნდა. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **შოთა ვადაჭკორია**<br>„ორი ოსეთის“ გაერთიანების სეპარატისტული იდეა და XX საუკუნის 90- იანი წლების ქართულ-ოსური საზოგადოებრივი აზრი. ჟურნალი: „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. # 2. თბილისი. 2023 წ.გვ.180- 207; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ISSN-0132-6058 | არქივის შესაბამისი ფონდებისა და პრესის დამუშავებით მოპოვებული მასალების გაანალიზებითაა წარმოჩენილი ოსურ სეპარატიზმთან მიმართებაში, ქართულ-ოსური საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა უცხოეთში** | | |
| | ანალიზი | |
| | შეფასება | დადებითი/უარყოფითი |
| | რეკომენდაციები | |
| **სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (საქართველოში, უცხოეთში)** | | |
| **ვადაჭკორია შოთა**<br>საქართველო-რუსეთის 1991 წლის 23 მარტის ყაზბეგის შეთანხმების შეფასებისათვის. აკაკი | ნაშრომში მოტანილი მასალების ანალიზი, შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: 1)1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით საქართველოს ხელისუფლებაში | |

| | | |
|---|---|---|
| წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მე-11 საერთაშორისო კონფერენცია. ქუთაისი. 2023 წლის 20 ოქტომბერი. დაიბეჭდა ჟურნ. ბიზნეს-ინჟინერინგში. თბ., 2023 წ. #3-4. გვ. 344-345. | მოსულ ეროვნულ ძალებს, აღმავალი ოსური სეპარატიზმის სახით, უმძიმესი მემკვიდრეობა დახვდა. Mსეპარატისტების მიზანს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საფრთხის ქვეშ დაყენება და რუსეთის შესაბამისი უწყების მიერ შემუშავებული გეგმის განხორციელების პრევენცია წარმოადგენდა; 2)ყაზბეგში 1991 წლის 23 მარტს ელცინ-გამსახურდიას შორის მიღწეულ შეთანხმებაში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის ფორმულირებით დაფიქსირებამ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის კანონისადმი ბ.ელცინის მხარდაჭერა დაადასტურა. ცხინვალის რეგიონში საქართველოს ხელისუფლების სასარგებლოდ გასატარებელი ღონისძიებებისადმი ბ.ელცინის მხარდაჭერა, ზ.გამსახურდიას მთავრობის პოლიტიკური კურსის გარკვეული ფორმით შეცვლის მოლოდინზე იყო გათვლილი. საწინააღმდეგო ქმედება, ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის დაკარგვის რეალურ საფრთხეს ქმნიდა; 3)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და რეგიონის ქართული მოსახლეობის მამა-პაპეულ საცხოვრისზე დამაგრება, საქართველოს მმართველი ელიტის მხრიდან, | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |

**კვლევების შედეგების კომერციალიზაციის პოტენციალი**

| | | |
|---|---|---|
| | ანალიზი | |
| | შეფასება | დადებითი/უარყოფითი |
| | რეკომენდაციები | |

**საექსპერტო მოღვაწეობა**

| | | |
|---|---|---|
| | ანალიზი | |
| | შეფასება | დადებითი/უარყოფითი |
| | რეკომენდაციები | |

**ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობა**

| | | |
|---|---|---|
| | ანალიზი | |
| | შეფასება | დადებითი/უარყოფითი |
| | რეკომენდაციები | |

**სამეცნიერო ერთეულში დასაქმებულ მკვლევართა სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებელი ციტირების ინდექსის საფუძველზე (ნოემბერი, 2023)**

| # | გვარი, სახელი | Scopus | | Web of Science | | Google Scholar | | სხვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ციტირების ინდექსი | h ინდექსი | ციტირების ინდექსი | h ინდექსი | ციტირების ინდექსი | h ინდექსი | ციტირების ინდექსი | h ინდექსი |
| 1 | პროფ. კუტუბიძე იაშა | 0 | 0 | | | 3 | 2 | | |
| 2 | ასოც. პროფ. ბურჯალიანი არსენ | 0 | 0 | | | 0 | 0 | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | ასოც. პროფ. ვადაჭკორია შოთა | 0 | 0 | | | 0 | 0 | | |
| 4 | ასოც. პროფ. კოპალიანი კარლო | 0 | 0 | | | 0 | 0 | | |
| 5 | ასოც. პროფ. ტაბუცაძე ომარ | 0 | 0 | | | 0 | 0 | | |
| 6 | ასის. პროფ. მახათაძე ნატო | 0 | 0 | | | 0 | 0 | | |
| 7 | ასის. პროფ. ხურცია-ანდრიაძე ირმა | 0 | 0 | | | 0 | 0 | | |
| 8 | ასის. მურვანიძე თეა | 0 | 0 | | | 0 | 0 | | |
| 9 | ასისტ. შარიქაძე თეონა | 0 | 0 | | | 0 | 0 | | |

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი თ. ჯაგოდნიშვილი

დარგობრივი კომისიის მდივანი, პროფესორი გ. ჯოლია